საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ოჯახებს სასურსათი პაკეტები გადაეცათ

29 მარტი 2021

ქარელის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ დვანში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ორ ოჯახს შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მამუკა საღარეიშვილმა სასურსათო პაკეტები გადასცა. რწმუნებულის თქმით, გარდა სახელმწიფო პროგრამებისა და გეგმებისა, მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობა, მითუფრო, პანდემიის პირობებში.

მოგვიანებით მამუკა საღარეიშვილი რწმუნებულის მოადგილესთან ამირან ქრისტესიაშვილთან და ქარელის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად ადგილობრივებსაც შეხვდა და მათ საჭიროებებს გაეცნო